პროექტი

განკარგულება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61– ე მუხლის პირველი და მე–2 პუნქტისა და ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის N8 დადგენილების საფუძველზე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. სამოქალაქო ბიუჯეტის ფორმირების წესის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზაალ მამალაძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე-საბჭოს თავმჯდომარე;

ბ) თეა უჯმაჯურიძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი-საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

გ) მარიტა მგალობლიშვილი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში-საბჭოს მდივანი;

დ) მაია კუტუბიძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი;

ე) მაია გოგოლაძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;

ვ) ზაზა ცინცაძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის საინვესტიციო გარემოს განვითარების განყოფილების განყოფილების უფროსი;

ზ) გოჩა ჯინჭარაძე-მერის წარმომადგენელი დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში;

თ) მარინე ბერაძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე;

ი) ვლადიმერ სიხარულიძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე;

კ) ჯუმბერი ბერძენიშვილი-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგლე;

ლ)გიორგი მათითაშვილი-ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“თავმჯდომარის პირველი მოადგილე

მ) თამარ ახალაძე-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფროსი სპეციალისტი სამართლებრივი უზრუნველყოფის საკითხებში;

ნ) მედეა შარაშიძე- ა(ა)იპ ,,ოდა ქეარის“ წარმომადგენელი;

ო) ნანა ცინცაძე-ჩოხატაურის ზრდასრულთა განათლების ცენტრის ხელმძღვანელი;

პ) ანი ცინცაძე-ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელი.

მუხლი 2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე

პროექტის ავტორი: ირაკლი კუჭავა